



საჯარო სამსახურში პირის შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებისათვის გამარტივებული საჯარო კონკურსის ჩატარების ვალდებულების გაუქმება მიუღებელია

საქართველოს პარლამენტმა მეორე მოსმენით მიიღო **პუბლიკ** დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ ☐ საქართველოს კანონისა და თანდართულ კანონებში (მათ შორის, **პუბლიკ** სამსახურის შესახებ ☐ საქართველოს კანონი) შესატანი ცვლილებების პროექტი.

პუბლიკ სამსახურის შესახებ ☐ საქართველოს კანონის პროექტში წარმოდგენილი ცვლილებებით, საჯარო სამსახურში პირის შრომითი ხელშეკრულებით მისაღებად გამარტივებული საჯარო კონკურსის ჩატარების ვალდებულება უქმდება.

კანონპროექტის თანახმად, **პუბლიკ** სამსახურის შესახებ ☐ საქართველოს კანონის 83-ე მუხლი ყალიბდება შემდეგი რედაქციით: **პუბლიკ** შრომითი ხელშეკრულებით საჯარო სამსახურში მიღებისათვის, **როგორც წესი**, ცხადდება გამარტივებული საჯარო კონკურსი ბიუროს მიერ ადმინისტრირებულ ვებგვერდზე. ამ შემთხვევაში განცხადების

წარდგენისათვის განისაზღვრება 10 კალენდარული დღის ვადა, ხოლო გადანყვეტილებას იღებს უფლებამოსილი პირი მხოლოდ შერჩეულ კანდიდატებთან გასაუბრების საფუძველზე.“

მიგვაჩნია, რომ **საჯარო სამსახურში პირის შრომითი ხელშეკრულებით მისაღებად გამარტივებული საჯარო კონკურსის ჩატარების ვალდებულების გაუქმება გაზრდის საჯარო სამსახურის სისტემაში გაუმჯობესებას და ერთპიროვნული გადანყვეტილებების, ასევე, ნეპოტიზმის რისკს, რაც, თავის მხრივ, ეწინააღმდეგება საჯარო სამსახურის რეფორმისა და საჯარო სამსახურის შესახებ საქართველოს ახალი კანონის მიზნებს.** გარდა ამისა, წარმოდგენილი ცვლილება საჯარო დაწესებულებებს ანიჭებს ფართო დისკრეციულ უფლებამოსილებას, მიიღოს გადანყვეტილება პირის შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებისათვის გამარტივებული საჯარო კონკურსის ჩატარების თაობაზე, ასევე, მოქალაქეებს არ ექნებათ შესაძლებლობა, მიიღონ მასში მონაწილეობა.

კანონმდებლობის თანახმად, შრომითი ხელშეკრულებით პირი შეიძლება დასაქმდეს საჯარო დაწესებულების დამხმარე ან არამუდმივი ამოცანების შესასრულებლად. დამხმარე ამოცანები მოიცავს ტექნიკურ, ადმინისტრაციულ ან სხვა დამხმარე ფუნქციების განხორციელებას, ხოლო არამუდმივი ამოცანები გულისხმობს საჯარო დაწესებულებისათვის დროის განსაზღვრულ პერიოდში საჭირო ექსპერტული მომსახურების გაწევას. შესაბამისად, საჯარო დაწესებულებაში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირი შესაძლებელია ასრულებდეს შინაარსობრივი ხასიათის ფუნქციებს, რაც დაკავშირებულია საჯარო დაწესებულების მიერ საჯარო ფუნქციების განხორციელებასთან.

მნიშვნელოვანია, აღინიშნოს, რომ **შრომითი ხელშეკრულებით** დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ საქართველოს კანონის პროექტის მე-15 მუხლის თანახმად, **შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირის თანამდებობრივი სარგოს მაქსიმალური კოეფიციენტი** შესაძლოა შეადგენდეს 4.00-ს. თუ ვივარაუდებთ, რომ საბაზო თანამდებობრივი სარგო 1,000 ლარით განისაზღვრება, ხელშეკრულებით დაქირავებული პირის მხოლოდ თანამდებობრივმა სარგომ (პრემიის და დანამატის გარეშე) შესაძლებელია 4,000 ლარი შეადგინოს, რაც საკმაოდ მაღალ თანხას შეადგენს და აღემატება საჯარო სამსახურში დასაქმებული პროფესიული საჯარო მოხელეების ანაზღაურებას. ამგვარად, მნიშვნელოვანია, რომ საჯარო დაწესებულებამ კონკურსის გარეშე არ მიიღოს პირი, მით უფრო, მსგავს მაღალანაზღაურებად პოზიციაზე.

აღსანიშნავია, რომ 2016 წელს, 2011 წელთან შედარებით, ქვეყნის მასშტაბით

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია GEORGIAN YOUNG LAWYERS' ASSOCIATION



ხელშეკრულებით დასაქმებული პირების შრომის ანაზღაურება 102 მილიონი ლარით არის გაზრდილი, რაც გარკვეულწილად შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ მოსამსახურეთა მიღების პროცედურების გაუმართაობითაც არის განპირობებული.

საჯარო დაწესებულებებში მიღების გამჭვირვალე და სამართლიანი პროცედურების ფორმირება საჯარო სამსახური რეფორმის ერთ-ერთ ქვაკუთხედს წარმოადგენს, რომლის გარეშეც შეუძლებელია საჯარო სამსახური სამართლიან, გამჭვირვალე და კარიერულ ზრდაზე ორიენტირებულ ინსტიტუტად ჩამოყალიბება. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, **მიგვაჩნია, რომ მიღებული ცვლილებები მნიშვნელოვნად აუარესებს საჯარო სამსახურში დასაქმების პროცედურას და ზრდის ნეპოტიზმის რისკს საჯარო სამსახურში პირის შრომითი ხელშეკრულებით დასაქმების პროცესში.**

სამწუხაროა, რომ საქართველოს პარლამენტმა არ გაითვალისწინა საკომიტეტო განხილვებზე ჩვენ მიერ წარდგენილი კრიტიკული შენიშვნები და გააუქმა საჯარო სამსახურში პირის შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებისათვის დადგენილი გამარტივებული საჯარო კონკურსის ჩატარების ვალდებულება.

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია (GYLA)

ინფორმაციის თავისუფლებისა და განვითარების ინსტიტუტი (IDFI)